სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ აცხადებს სტაჟირებას

1. **სტაჟირება ონლაინ მედიის სამსახურში:**

- ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მართვის მენეჯერის პოზიციაზე - 2 ვაკანტური ადგილი;

სტაჟიორის ძირითადი მოთხოვნები:

- მაღალი მოტივაცია;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ვერბალური წერილობითი კომუნიკაციის უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, მოწესრიგებულობა;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა ჩაითვლება პრიორიტეტად;
უცხო ენის ცოდნა ჩაითვლება პრიორიტეტად;

სტაჟიორს უფლება აქვს:

- ხელმძღვანელის თანხმობით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;
- ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სამსახურის სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;
- სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაში;

სტაჟიორი ვალდებულია:

- გაეცნოს და იხელმძღვანელოს სტრუქტურული ერთეულების დებულებით, სამსახურის შინაგანაწესით და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით;
- გაეცნოს მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის სპეციფიკას;
- დაიცვას მაუწყებლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმები;
- არ გაავრცელოს საიდუმლო ან/და კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სტაჟირების გავლის პროცესში;
- დადგენილ ვადაში, კომპეტენციის ფაგლებში შეასრულოს ყველა დავალება, რომელიც დაეკისრება ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით;
- სტაჟიორი შესაძლებელია უშუალოდ იქნეს ჩართული სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული პროცედურების განხორციელებში.

დამატებითი მოთხოვნები:

სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, ან იგი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებო პროგრამის მეორე, მესამე ან მეოთხე კურსის, ან მეორე საფეხურის საგანმათლებლო პროგრამის სტუდენტია ან/და

აქვს პროფესიული უმაღლესი განათლება, სახელობო განათლება, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია.

დამატებითი ინფორმაცია:
სტაჟირების მსურველმა დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, განსაზღვრულ ვადაში საკონტაქტო ელ-ფოსტაზე (hr@ajaratv.ge) უნდა წარმოადგინონ:

- განცხადება;
- რეზიუმე (CV);

დაინტერესებულმა პირმა, რომელსაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება, გამოსაგზავნ ელ-ფოსტის ((hr@ajaratv.ge) სათაურის ველში (subject) უნდა მიუთითოს იმ სტრუქტურული ერთეულის და პოზიციის დასახელება, სადაც სურს სტაჟირების გავლა.

სტაჟირების ხანგრძლივობა: არაუმეტეს 6 თვე;

ანაზღაურების ტიპი: ანაზღაურების გარეშე;

კონკურსის ეტაპები:

- განცხადების გადარჩევა
- გასაუბრება;

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა: განაცხადებას განიხილავს სპეციალური კომისია, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით ჯამური შეფასების ქულათა სისტემით. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებს მიიღებს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

განცხადების წარდგენის ვადა: 2024 წლის 12 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით.
სამსახურის ადგილმდებარეობა: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41
საკონტაქტო პირი: ნათია ხუნდაძე მობ: 577 23 26 07
საკონტაქტო ელ-ფოსტა: hr@ajaratv.ge